საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/52
15/01/2025

52-01-2-202501151233

მოქალაქე ლანა ქასრაშვილს ([redacted])
მის: ქ. ტყიბული, [redacted]
ელ.ფოსტა: [redacted]
ტელეფონი: 555 79 13 [redacted]

ქალბატონო ლანა,

2025 წლის 9 იანვრის №01/48 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განმცხადებელს უფლება აქვს, სააგენტოს წარუდგინოს პროცედურის დანართი №1-ით დადგენილი ფორმის შესაბამისი განცხადება მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ (შემდგომ – განცხადება). დამატებით გაცნობებთ, რომ პროცედურის დანართი №1-ით დადგენილი შესაბამისი განცხადების ფორმის მოძიება შესაძლებელია სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე: https://gcca.gov.ge/index.php?m=401

ამასთან, პროცედურის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, სააგენტო ამოწმებს განცხადების ფორმალურ შესაბამისობას კანონის, ამ პროცედურის მეორე მუხლითა და დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პროცედურის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, განცხადება უნდა შეიცავდეს მოვაჭრის დასახელებას (სახელი, გვარი/პირადი ნომერი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), დასახელება ან/და საიდენტიფიკაციო ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში), მისამართი და არსებობის შემთხვევაში, საკონტაქტო ინფორმაცია), ხოლო ამავე მუხლის „ი" ქვეპუნქტის თანახმად განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის სახელს, გვარს, ხელმოწერასა და განცხადების წარდგენის თარიღს. თქვენს 2025 წლის 9 იანვრის №01/48 განცხადებაში არ არის წარმოდგენილი მოვაჭრის საიდენტიფიკაციო მონაცემები და განმცხადებლის ხელმოწერა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა,** წარმოადგინოთ ხელმოწერილი განცხადება და ზემოთ მითითებული ინფორმაცია. აქვე გაცნობებთ,

რომ სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

პატივისცემით,

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE